



ჩინგური საქარტოფელოა, სიმეში ჩვენ ვართ ყველაფერი.

# ყოფსი

სენაკის მუნიციპალიტეტის თაგისუფალი გაზეთი

2018 წელი №23 1-15 დეკემბერი (9446) ფასი 40 თეთრი

## მუნიციპალიტეტის მერიაში

### შეხვედრები მერთან

სენაკის მუნიციპალიტეტის მერს ლევან კუპრეიშვილს მოქალაქეთა ტრადიციული მიღებაზე მოქალაქეებმა მათთვის საჭირობო და აქტუალურ საკითხებზე მიმართეს. შეხვედრები დიალოგის რეჟიმში წარიმართა. მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა ადგილზე განიხილა თითოეული მოქალაქის ყოფითი პრობლემები და მათი მოგვარების შესაძლებლობები. მერის შეხვედრები მოქალაქეებთან პერმანენტულ ხასიათს ატარებს და კვლავაც აქტიურად გაგრძელდება. აღნიშნული შეხვედრები ხელს შეუწყობს ადგილობრივ ხელისუფლების რიგით მოქალაქეებთან უშუალო კომუნიკაციას.



## ბრძოლა გზების რეაბილიტაცია

სენაკის მუნიციპალიტეტის მასშტაბით აქტიურად მიმდინარეობს საავტომობილო გზების მოწყოლისა და რეაბილიტაციის სამუშაოები. მოსახლეობის თხოვნის საფუძველზე, ქალაქში და სოფლად თანმიმდევრულად ხორციელდება გზების რეაბილიტაციასთან დაკავშირებული დაპირებები. ამ ეტაპზე, ქალაქ სენაკში ასფალტბეტონის საფარის დაგების მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს ს. შენგულიას, მარჯანიშვილის, ფურცელაძის, ჯიხას ქუჩებზე. სარეაბილიტაციო სამუშაოები ასევე განხორციელდება სამტრედიის, სტალინის ქუჩის III შესახვევში, შავი ზღვის, ჭალაღიდელის, ფალიაშვილის, გაბაშვილის, ალ. არჩაიას, მშვიდობის ქუჩებზე, ალ. არჩაიას ქუჩიდან თბილისი-სენაკი-ლესელიძის ავტომაგისტრალამდე, დ. აღმაშენებლისა და ლოლუას ქუჩებზე. სამუშაოებს ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული სს „არქეოპოლისი“ აწარმოებს.



## დეჟინლი და მასპინძელი თემის ეკონომიკური გაძლიერება საქართველოში

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღატიანი და მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად, „საქველმოქმედო ჰუმანიტარული ცენტრი აფხაზეთი“-ს წევრებს შეხვდნენ. შეხვედრას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აფხაზეთიდან დევნილთა კომპაქტური ჩასახლების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ისაუბრეს სენაკში, ფოთსა და ზუგდიდში განსახორციელებელ პროექტზე - „დეჟინლი და მასპინძელი თემის ეკონომიკური გაძლიერება საქართველოში“, რომლის ფარგლებში, მუნიციპალიტეტის დეჟინლი და მასპინძელი თემის წარმომადგენლებს, შესაძლებლობა ეძლევათ მონაწილეობა მიიღონ ბიზნეს იდეების კონკურსში 10 დეკემბრიდან 20 იანვრის ჩათვლით. საუკეთესო იდეების წარმომადგენლები გაივლიან 5 დღიან ტრენინგს. გამარჯვებული ბიზნეს გეგმის ავტორები მიიღებენ მცირე გრანტებს ბიზნესის დასაწყებად ან გასაძლიერებლად. საინფორმაციო შეხვედრა პროექტთან დაკავშირებით უახლოეს დღეებში გაიმართება. პროექტის დონორია ამერიკის მთავრობა და პარტნიორი - „გერმანული არასამთავრობო ორგანიზაცია ASB“.



## სენაკის „გერმანი“ ფეხბურთის 30-ე რეგიონალური ლიგის ჩემპიონის - სენაკის „გერმანი“ ფეხბურთელების დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა.

სახეიმო ღონისძიებას სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე კახაბერ რუსია, მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღატიანი, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბადრი კლანდარიშვილი, აჭარის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ირაკლი თოთლაძე, ფედერაციის, თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ. დაჯილდოების ცერემონიაზე ხაზი გაესვა იმ ადამიანების თანადგომას, რომლებიც გვერდში ედგნენ „გერმანს“ და თავიანთი მხარდაჭერითა და ქველმოქმედებით წვლილი შეიტანეს გუნდის წარმატებაში. აჭარის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა „გერმანის“ კაპიტანს ირაკლი ქობალიას, როგორც ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირს, სპეციალური პრიზი გადასცა. საფეხბურთო კლუბის სახელით სპეციალური თასით დაჯილდოვდა ახალგაზრდა პერსპექტიული ფეხბურთელი ხეინა ნადარეიშვილი. „გერმანის“ ყველა ფეხბურთელი ასევე დაჯილდოვდა მედლებითა და პირველი ხარისხის სიგელებით.



## „სკოლისაფეთქვლი განათლება ყველასათვის“

მუნიციპალიტეტის მერიის სხდომათა დარბაზში გამართულ საინფორმაციო შეხვედრას ა(ა)ი.პ. „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრის“ (CSDC) წარმომადგენლებთან ესწრებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის, ა(ა)ი.პ. „სკოლაშენი ალზრდის გაერთიანების“, ა(ა)ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“, სენაკის დევნილთა პოლიკლინიკის, ადმინისტრაციული ერთეულების ამბოლატორიების წარმომადგენლები, სენაკის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ადმინისტრაცია, საჯარო სკოლების დირექტორები, შსს-ს სენაკის რაიონული სამმართველოს განყოფილების თანამშრომლები, სსიპ „სენაკის სოციალური მომსახურების სააგენტოს“ სოციალური აგენტები, ოჯახის ექიმები. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, სკოლაშენი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის ორგანიზებითა და სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრი“ ბავშვთა დაცვის რეფორმების პროცესებში ჩართული უწყებების, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლებისთვის ახორციელებს სკოლის მიღმა დარჩენილი მოზარდების მიმართ ცნობიერების ამაღლების საინფორმაციო კამპანიას. შეხვედრაზე ა(ა)ი.პ. „სამოქალაქო საზოგადოების განვითარების ცენტრის“ (CSDC) სოციალურმა მუშაკმა ლანა მოწონელიძემ და ტრენინგმა ია კაშიამ ისაუბრეს ისეთ აქტუალურ და საჭირობო საკითხებზე, როგორცაა ბავშვთა უფლებების დაცვა, მოზარდისთვის ხარისხიანი და თანაბრად ხელმისაწვდომი განათლების მიღება, არასრულწლოვანი განათლების რისკები, მოზარდებში და მათ მიმართ ძალადობა. საინფორმაციო შეხვედრა დისკუსიის ფორმატში წარიმართა. აღინიშნა, რომ აუცილებელია, თითოეულმა მოქალაქემ გაიაზროს საკუთრი როლი და მოვალეობა სხვადასხვა მიხედვით საგანმანათლებლო სფეროს მიღმა აღმოჩენილი მოზარდების განათლების უფლების უზრუნველყოფისთვის, ყველა ბავშვის ფორმალური განათლების სისტემაში ჩართვის და მათ შესაძლებლობების მაქსიმალური განვითარების ხელშეწყობისთვის. მსგავსი შინაარსის შეხვედრები პერმანენტულ ხასიათს მიიღებს.



## სენაკში მხატვრის საერთაშორისო დღე აღინიშნა

მხატვრის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა ა(ა)ი.პ. „სელფონების ცენტრის“ სამხატვრო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრების და სკოლის ისტორიის, მისი მიღწევების ამსახველი ფოტო-მასალების გამოფენა. ღონისძიებას ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღატიანი, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, მერიის შესაბამისი სამსახურისა და საზოგადოების წარმომადგენლები. ქართველი მხატვრების შემოქმედებასა და მათ შედევრებზე „შეჩერებულ წამზე“, ისაუბრეს სამხატვრო სკოლის მოსწავლეებმა. მხატვრის საერთაშორისო დღე 2007 წელს საერთაშორისო ასოციაცია „მსოფლიო ხალხთა ხელოვნება“ დააარსა და ის არა მხოლოდ პროფესიონალების, არამედ მოყვარულების დღესასწაულიცაა. მხატვრებს შეუძლიათ არა მარტო ცხოვრება ასახონ, არამედ ადამიანებს მისცენ შესაძლებლობა, დატკბნენ სამყაროთი და უყვარდეთ ის.



( ბაბრძილა მელიქიანი )

კალაღობის წინააღმდეგ კამპანიის სენაკი უერთდება

გენდერული ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიან სამთავრობო კამპანიას სენაკის მუნიციპალიტეტი შეუერთდა. კამპანიის ფარგლებში, სენაკის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში, ახალგაზრდა თანატოლ განმანათლებლებისთვის 5 დღიანი ტრენინგი ჩატარდა, რომელშიც მონაწილეობას სენაკის №1, №7, თეკლათისა და შენჯის საჯარო სკოლების მოსწავლეები და მშენებლები მონაწილეობდნენ.



სენაკის მუნიციპალიტეტის მერიაში ჩატარდა ტრენინგი მონაწილეობას სენაკის №1, №7, თეკლათისა და შენჯის საჯარო სკოლების მოსწავლეების და მშენებლებისთვის.

2018 წლის 28 ოქტომბრის საქართველოს პრეზიდენტის არჩევნების მეორე ტურის შედეგები № 64 სენაკის საარჩევნო ოლქში

Table with 2 columns: Candidate/Type and Votes. Rows include: ამომრჩევვევლთა რაოდენობა საარჩევნო ოლქში (40121), არჩევნებში მონაწილე ამომრჩევვევლთა რაოდენობა (22471), მიცემულ ხმათა რაოდენობა, 5 გრიგოლ ვაშაძე (10334), 48 სალომე ზურაბიშვილი (11486).

ნონა გაფრინდაშვილი მსოფლიო ჩემპიონი პიტანაში უორის

სლოვენის ქალაქ ბლედში ვეტერან მოჭადრაკეთა მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართა. ნონა გაფრინდაშვილიმა ბოლო პარტია ინგლისელ დინა ნორმანთან გამარჯვებით დაასრულა. მან მოწინააღმდეგე იძულებული გახდა 74-ე სვლაზე დაეხდებოდა. ინფორმაციას „აიპრესი“ ავრცელებს.



ნონა გაფრინდაშვილი მსოფლიო ჩემპიონი პიტანაში უორის.

რეგიონული დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია (DMO) დაფუძნდა

საქართველოს ტერიტორიული ადმინისტრაციის და USAID/Zrda-ს ინიციატივითა და სამეგრელო-ზემო სვანეთის ადმინისტრაციის მხარდაჭერით, სამეგრელო-ზემო სვანეთში დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია (DMO) დაფუძნდა. ამის შესახებ განაცხადებს დღეს, ზუგდიდში გამართულ შეხვედრაზე, რომელსაც ესწრებოდნენ USAID/Zrda პროექტის ხელმძღვანელი ბრანდ კინგი, საქართველოს ტერიტორიული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი გიორგი ჩოგოვაძე, სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის პირველი მოადგილე ირაკლი ჯიქია, გუბერნატორის მოადგილე ნინო ვიბლიანი, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბადათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, გუბერნიის სხვა პასუხისმგებელი პირები, სამეგრელო-ზემო სვანეთის მუნიციპალიტეტების მერები, ადგილობრივი თვითმმართველობის, ბიზნეს სექტორისა და მედიის წარმომადგენლები.



სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორის პირველი მოადგილე ირაკლი ჯიქია, გუბერნატორის მოადგილე ნინო ვიბლიანი, სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბადათურია, მერის მოადგილე კახაბერ კუპრეიშვილი, გუბერნიის სხვა პასუხისმგებელი პირები, სამეგრელო-ზემო სვანეთის მუნიციპალიტეტების მერები, ადგილობრივი თვითმმართველობის, ბიზნეს სექტორისა და მედიის წარმომადგენლები.

23 წელი დაარსებიდან

7 დეკემბერს 23 წელი შესრულდა სენაკის დამოუკიდებელი ტელეკომპანია „ეგრისის“ დაფუძნებიდან. პირველი გადაცემა ეთერში 1995 წლის 7 დეკემბერს გავიდა. 23 წელმა განვლო ტელეკომპანიის დაარსებიდან დღემდე. მოსახლეობაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა საინფორმაციო პროგრამები: „ეკირა“, „ინფო-დაიჯესტი“, „შემოქმედებითი პორტრეტები“, „სტუდენტური რუბიკონი“, საბავშვო-საინფორმაციო პროგრამა „თუთარ-ჩელა“ და სხვა. ტელეკომპანია „ეგრისის“ არეალი თანდათან გაფართოვდა. ამჯერად იგი მასწავლებლებს პირველ ციფრულ არხზე და მოიცავს დასავლეთის რეგიონს. ტელეკომპანიის ეთერში გადის საინფორმაციო პროგრამა, სპეციალური რეპორტაჟები, განცხადებები, რეკლამა. ტელეკომპანია „ეგრისი“ თანამშრომლობს რეგიონალურ ტელევიზიებთან, ასოციაცია „გარბთან“, რომელიც აერთიანებს რეგიონში მოქმედ დამოუკიდებელ მასწავლებელთა გაერთიანებას, „კავკასიასთან“, ხარისხის არხთან. უახლოეს მომავალში ტელეკომპანიის შემოქმედებით კოლექტივს დაგეგმილი აქვს შემეცნებითი ხასიათის გადაცემების მომზადება. ტელეკომპანია „ეგრისის“ დამფუძნებელი და დირექტორია მერაბ ჩიქოვაძე. წარმატებებს და პროფესიულ წინსვლას ვუსურვებთ „ეგრისელებს“.

მ. ჩანბაია

სიყვარულს და პატივისცემას იმსახურებთ...

უდიდესი მოკრძალებით მინდა მივულოცო დამდეგი 2019 წელი ბატონ დემურ გადელიას, მის ოჯახს და სააქციო საზოგადოება „არქეოპოლისის“ შრომითი კოლექტივის თითოეულ წევრს. „ბატონო დემურ, თქვენთვის ჩვეული გულისხმიერებით, ქველმოქმედების იშვიათი უნარით იმსახურებთ მოსახლეობის სიყვარულს და პატივისცემას. თქვენ განუმეორებელი პიროვნება ბრძანდებით, ვისურვებთ მყარ ჯანმრთელობას, უშრეტ ენერჯიას, წარმატებულ დღეებს პირად ცხოვრებაში და შრომით საქმიანობაში. უფალი ფარავდეს თქვენს გზა-სავალს“.

პატივისცემით ნელი ჯანჯავაძე

ჯანმრთელი თვალი სასიცოცხლო მნიშვნელობისაა

თვალის დაავადებათა უფასო გასინჯვა-გამოკვლევა, შემდეგ ოპერაცია მოსახლეობას ეხმარება უმნიშვნელოვანესი განძის თვალის ჩინის შენარჩუნებაში. კლინიკა „არქიმედეში“ გამოკეთდა კატარაქტის ოპერაცია. ძალიან კარგი შედეგი მაქვს. მინდა ავლნიშნო ქირურგ-ოფთალმოლოგის ზაზა სენიაიძის, ოფთალმოლოგის მაია მარკოზიას პროფესიონალიზმი და კვალიფიკაცია. მისაბაძია მათი გულისხმიერი დამოკიდებულება პაციენტებისადმი. მაღლობას ვუხედი ბატონ ზაზა სენიაიძეს, ქალბატონ მაია მარკოზიას კლინიკის დირექტორს ქალბატონ მარეხ ადანიას ხარისხიანი და შედეგითანი სამედიცინო მომსახურებისათვის. ვულოცავ მათ დამდეგ შობა-ახალწელს, ვუსურვებ ყოველივე საუკეთესოს. როცა ავდილზე კეთდება უფასო ოპერაცია, ეს დიდი შეებაა პენსიონრებისათვის. თვალის ჩინი, ჯანმრთელი თვალი ადამიანისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, კლინიკა „არქიმედეში“ მართლაც, რომ საუკეთესო პირობებია თვალის დაავადებათა მკურნალობისათვის.

თ. ქაიბაი

დაიფიცო ხელმოწერა

სენაკის მუნიციპალიტეტის ბაზეთა „კოლხეთი“ 2018 წლის მაისში 95 წელი მიიქცავს. მისი მრავალწლოვანი არსებობის და ბაზეთის ფორტები მრავალ საინტერესო და ისტორიულ კორპორაციულ მემკვიდრეებს ინახავს. თითოეტი ჩამოსახლებულია არათუ რეგიონალური, არამედ რესპუბლიკური ბაზეთები, რომლებმაც ბაზეთი მკაფრ კატაკლიზმებს, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის როგორც ბაზეთის შემოქმედებით მუშაობას, ასევე ადგილობრივ ხელისუფლებას. „კოლხეთის“ დამაარსებელი ნიჟანი იყო და არის ეროვნული სულისკვეთება, დაუახლოვდა მშრომელი ადამიანებისადმი, პროფესიონალიზმი, ზრუნვა ახალგაზრდობის ღირსეული აღზრდისადმი, მშობლიური სანახევრის, ისტორიის, კულტურის, ხელოვნების სწავლაში მიმდინარე პროცესებისადმი. უფლებით დატვირთული, გამორჩეული „კოლხეთი“ კვლავაც რჩება მუნიციპალიტეტის მემკვიდრეად. 2018 წლის 1 ნოემბრიდან დაიფიცო ხელმოწერა ბაზეთი „კოლხეთი“, ბაზეთის სიცოცხლისუნარიანობას ერთგვარად განსაზღვრავს ხელმოწერა რაოდენობა. გვჯერა, ჩვენი ხელმოწერები, სენაკელები კვლავაც უერთგულდებიან 95 წლის ბაზეთს. გამოიწვევთ მუნიციპალიტეტის მემკვიდრე. გვახარია, რომ ამით თქვენ დიდ წვლილს შეიტანთ გვიწერი მემკვიდრეების განვითარების საქმეში.

# მავანთა და მავანთა „მჭავრეაზუაზუაზის“ ბაჟო

## (დასასრული)

კის ურთიერთობათა საკითხებზე.  
 საქართველო წმ.მარიაძეებისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, ხოლო „ქართული არის ჩვენი ხალხის ისტორიის ნათელი სარკე და ერის მეობის ქვაკუთხედი“ (ქ. სორდია, ლინგვისტიკური ძიებანი, ქუთაისი, 2006, გვ. 10).  
 გამორჩეული აღვნიშნავთ, რომ ნ. მარმა, ბრძანა: „პატივი ეცდეთა შენსა“, მაგრამ, მიუხედავად ამისა და სხვა ზემოაღნიშნულისა, ჩვენდა სამწუხაროდ, დღევანდელი ქართული ენის უპატივცემლობის შემთხვევები არცთუ იშვიათად იგრძნობა. ასე, მაგ.  
 • უცხო სიტყვათა (ლეგიტიმური, ინოვაცია, კომუნიკაცია, მენტორი, რეკლამა, რაკურსი, ბრავი!) ქართულში განუიხებლად მოხდევდა. მეტიც: შეუწყნარებელი რამდენიმე სიტყვიან მარტივ წინადადებაში 2-3 უცხო სიტყვის გარევა.  
 • გრამატიკულ-სტილისტიკური დარღვევები: „საქმის

კურსში ვარ“, „მრავლობითი ტრილობები“, „საქმე იმაშია, რომ“, „ვიღებ მონაწილეობას“ „დახურულ კარს მიღმა“, „გამომდინარე იქედან“... ასეთი და სხვა სახის დარღვევებით ჩვენს ენას დავაკინებთ და თანდათანობით (რამდენიმე ათეული წლის შემდეგ) ადევნით (ჩვენივე უნიათობითა და უსულგულობით) პირისაგან მიწისა.  
 ახლა კი სენაკელ მავანთა და მავანთა რამდენიმე ასეთ „მჭვერმეცხველურ“ შედეგებს წარმოვადგინოთ: „მეორადი (მეორეული) ტექნიკის (ტექნიკის იარაღთა) ჩაბარება“, „ტექნიკის (უმტკიცებელი) ეპილოცია“, „ცოცხალი (ახალი) ლუდი“, „ცივი ფხრილი (გაუგებარია, რისი თქმა სურთ)“, „აგრო სესხი (აგროსესხი)“, „ბიო ეპილოცია (ბიოეპილოცია)“, „შოკოლათერია (გაუგებარია, რისი თქმა სურთ)“, „ვეტ აფთიაქი (ვეტაფთიაქი)“, „...ერთად საქართველოსთვის (ერთად საქართველოსთვის)“, „ჩემპიონი ტექნიკა თქვენს სახლში (უახრო-

ბა)“, „თურქული ხალიჩა საუკეთესო ფასები (...იფადა// ხელმისაწვდომფასად)“, „ტანსაცმელი ბანგლამეშიდან და ინდოეთიდან (...ბანგლამეშიური და ინდური).  
 შენიშვნა: საზგასმული სიტყვები უსწორია, ფრჩხილებში ჩასმულები კი - სწორი.  
 გვახსოვდეს, რომ გაცილებით ადვილია ავიცილოთ შეცდომების წარმოშობა, ვიდრე აღმოვფხვრათ ცნობიერებაში გამჯდარი დარღვევები.  
 ამიტომ (და სხვა გარემოებათა გამოც) ასეთი შეცდომიანი სიტყვებით თუ წინადადებებით, რომლებიც, სამწუხაროდ, მავანთა და მავანთათვის სარეკლამო თუ სალოზუნგოა, საზოგადოების განსაკუთრებით ახალგაზრდების, ცნობიერებას ნუ გადავტვირთავთ.  
 პროფესორი შორა სორდია

## სსონა

### შოთა ხარებავა



დღეები არსთავამრიგის კანონზომიერებით ერთმანეთს ცვლიან. ყოველ დღეს სახელესთან ერთად მრავალი ტკივილი ახლავს.  
 გასულ წლებში ძველი თაობის არაერთი კოლხეთელი გავაცილეთ უკანასკნელ გზაზე.  
 ამჯერად ძალიან დაგვწყვიტა გული „კოლხეთის“ ყოფილი ფოტოკორესპონდენტის შოთა ხარებავას გარდაცვალებამ. გაზეთიდან წასვლის შემდეგ შოთა ხარებავამ სამწარმოო საქმიანობას მიჰყო ხელი. თავდადებით შრომობდა ოჯახის კეთილდღეობისათვის.  
 95 წლის „კოლხეთის“ გაყვითლებული ფურცლები ინფორმაციასთან ერთად უამრავ ფოტომასალას ინახავს. შოთა ყოველთვის პურნალისტების გვერდით იყო. თითქმის არცერთი კორესპონდენცია, რეპორტაჟი, ინტერვიუ თუ ჩანახატი არ მომზადებულა მის მიერ გადაღებული ფოტომასალის გარეშე. მოგვხსენებთ გასულ საუკუნეში, როცა

არ იყო ინტერნეტსივრცე, აქა-იქ მოიპოვებოდა ციფრული აპარატურა რთული იყო ფოტორეპორტიორის შრომა: გადაღებებზე წასვლა, ფირების გამჟღავნება, გაშრობა, სურათების დაბეჭდვა დიდ ძალისხმევას მოითხოვდა. შოთა უხმაუროდ და კეთილსინდისიერად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას.  
 არ უყვარდა რეიდებზე სიარული(მაშინ გაზეთი უფლებამოსილი იყო ნებისმიერ დაწესებულებაში შესულიყო დარღვევების გამოსაგენად).სიამოვნებით ამზადებდა ფოტოკოლაჟს რუბრიკებისათვის „ჩვენი ქალაქის კონტურები“, „ხედებს, ეხოებს ღამაზი იერი, „მოწინავე ადამიანები“, „შემოქმედებით პორტრეტი“ და სხვა.



მეგობრული და მოზომილი იყო თანამშრომლებთან ურთიერთობაში. დადიოდა ჩუმად, უხმაუროდ, უყვარდა ოჯახი, აფასებდა მეუღლეს, მზრუნველობას არ აკლებდა შვილებს, შვილიშვილებს.  
 თბილისში საცხოვრებლად გადასვლის შემდეგ ნაკლები კონტაქტები ჰქონდა ძველ კოლეგებთან. მიუხედავად ამისა „კოლხეთელებს“ არ დავიწყებია მისი გულისხმიერება, პროფესიონალიზმი, თბილი დამოკიდებულება.

ჩვენო შოთა, დასანანია შენი ნადრევი წასვლა ამქვეყნიური ცხოვრებიდან, ჩვენ მხოლოდ ის და დაგვრჩენია ღოცვა-კურთხევა მოგაწვდინოთ შენი მშობლიური ქალაქიდან და შევთხოვთ უფაღს ნათელში დაამკვიდროს შენი სული.  
 ბაზაში „კოლხეთის“ რედაქცია

გაზეთ „კოლხეთის“ რედაქციის პურნალისტები და ტექნიკური მუშაკები ღრმამწუხარებას გამოთქვამენ ყოფილი თანამშრომლის

### შოთა ხარებავას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქციო საზოგადოება „არქეოპოლისის“ კოლექტივი თანაუგრძნობს „არქეოპოლისის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს ბატონ დემურ გადელიას სიძის

### შოთა ხარებავას

გარდაცვალების გამო

ხოფერიასა და დიმიტრი თავდადებულის ქუჩის მცხოვრებლები მწუხარებას გამოთქვამენ

### შოთა ხარებავას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს

<p>სარედაქციო კოლეგია          მთავარი რედაქტორი ნინო სარმანიანი          რედაქტორი მამია ბაღატიშვილი          კორესპონდენტები: მაია ბერბაია, მარიკა მიქაბერიძე          ეკონომიკური სამსახურის სპეციალისტი შუბლიტა ჩაჩიბაია</p>	<p>რედაქციის მისამართი:          სენაკი, ჭავჭავაძის ქ. № 103 ტელ: 276150          რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით, არ გამოხატავს პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ინტერესებს.          ინდექსი 66529</p>	<p>რეგისტრირებულია სენაკის სასამართლოში          რეგისტრაციის № 56/7-17          გაზეთი კომპიუტერზე მომზადდა და ოფსეტური წესით დაიბეჭდა ქ. ფოთში შპს „ირიდა“-ს სტამბაში          ქფოთი წმინდის №4          ტელ: 5 (493) 22 24 33</p>
--	---	--

## თემურ ბარკალია



თემურ ბარკალია შალვა ბარკალიას და ელენე შალამბერიძის ჭეშმარიტად ინტელიგენტურ ოჯახში დაიბადა და აღიზარდა.  
 მშობლებისგან შეისისხლხორცა სიკეთე, ტრადიციები-სადმი ერთგულება, ადამიანების სიყვარული.  
 დადიოდა ჩვენს ქალაქში კეთილი, ღამაზი კაცი, უყვარდა მეგობრები. თავის სიტყვას ამბობდა სამკაცოში და სანათესაოში.  
 დააკლდა ოჯახს, მეუღლეს, და-ძმას, ახლობლებს.  
 ნათელი მის იმქვეყნიურ გზას.  
 მამობრძე

## გიგლა ხარებელი



გარდაიცვალა საოცრად კარგი ადამიანი, მიუხედავად ასაკისა მუდამ სიცოცხლის ხალისით საგვს, ენთუზიაზმით დამუშტული, შრომაში დამაშურალი, ტრადიციების პატივმდებელი, სანათესაოსა და საახლობლოს მოყვარული, ყველას ჭირვარამის გამზიარებელი, დიდთან დიდი და პატარასთან პატარა. რაც მთავარია გუმორით დატვირთული, ენამოსწრებელი, ყველას სიყვარულით გარემოსილი გიგლა ხარებელი  
 იგი დაიბადა 1927 წელს 28 თებერვალს მარტვილის რაიონის სოფელ თამაკონში. 1951 წელს დაამთავრა თამაკონის საშუალო სკოლა და იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს სოფლის მეურნეობის ინსტიტუტში. სწავლის პარალელურად მუშაობდა თამაკონის კოლმეურნეობაში მერგოლურად, ბრიგადირად, აგრონომად. 1951-61 წლებში - ცხაკაიას რაიონის ახალსოფლის სანერგე მეურნეობაში აგრონომად. 1961-67 წლებში - ქ. ცხაკაიას რკინიგზის სკოლა-ინტერნატში მეურნეობის უფროსად. 1967-1988 წლებში კი ცხაკაიას სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სასწავლო მეურნეობის მმართველად და პარალელურად აგრონომიული დისციპლინების მასწავლებლად.  
 გიგლა ხარებელი იყო დიდი ოჯახის მამა, ბაბუა და დიდი ბაბუა. ცხოვრების მანძილზე მუხლნაუხრელად შრომობდა, შთამომავლობას, მოსწავლეებს, შრომის უნარჩვევებს უნერგავდა, სწავლის წყურვილს უღვივებდა. უყვარდა ახალგაზრდები და მათთან მეგობრობდა.  
 „რა არის ჩვენი სიცოცხლე, ჩიტვით გაგვიფრინდება“, გიგლას სიცოცხლევ წამში გაფრინდა. მისმა გარდაცვალებამ დიდი ტკივილი განაცდევინა მეუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს, ახლობლებს. ვალმოხდილი წავიდა ამქვეყნიდან ამგდარი პიროვნება, მის სახელს დავიწყება არ უწყვია.  
 ღმერთმა ნათელი დაუმკვიდროს იმქვეყნიურ სასუფეველში.  
 ახლობლები

## გიული ბალთური



9 დეკემბრის სუსხიან დღეს გაჰყვა შენი უკანასკნელი ამოსუნთქვა. ორი ტკივილიანი და ცრემლიანი წელი გავიდა შენი გარდაცვალებიდან, ვერ ვითავისებ შენს ბრყოფნას. ასე მგონია შენთვის ჩვეული წენარი ნაბიჯებით მოხვალ, გემრიელი და ტკბილი ინტონაციით მოყვები თბილისურ ამბებს, გაისხნებ ბავშვობის წლებს, შენს მშობლიურ სენაკში და სანათესაოში გამოვლილ ისტორიებს  
 ჩემო გიული, ჩვენ მხოლოდ ფიზიკურად დაავშორდით ერთმანეთს, სულიერად კვლავ ერთად ვართ.  
 მეხსიერებას არ შორდება საბავშვო სტუდიაში გატარებული წლები, სატელევიზიო გადაღებები, ექსკურსიები, კუროსხები.  
 მენატრები და მიყვარხარ, გიფიცებ როგორც ცოცხალს და არა როგორც გარდაცვლილს, თხოვნა მხოლოდ ერთი მაქვს ... მშვიდად განისვენე, განსაცდელისგან დაიცავი შენი ოჯახი, შვილები და ახლობლები.  
 შენი და მამა!

# „ოკუპაციით წარმოქმნილი უფლება“

გარემოს დაცვითი ეკოლოგიური ასოციაცია „დეა“ დაფუძნდა 2004 წელს საქართველოს მშენებლობის წესების მიერ. ასოციაციის ძირითადი მიზანია ჰუმანიტარული და ეთნოკულტურული გარემოს დაცვა, სამოქალაქო განათლების გზით ეკოლოგიური ცოდნისა და ცნობიერების ამაღლება ფართო მასშტაბში, ეკოსაგანმანათლებლო ცენტრის შექმნა მოზარდებისათვის. რეგიონალური განვითარების პროგრამებში მონაწილეობის გზით საზოგადოების ეკოლოგიური და დემოგრაფიული ფასეულობების გაზრდა, ეკო-ტურიზმისა და ბიოფერტილური მუხრნების განვითარების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია, ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის დაცვა.



რების ხელშეწყობა და პოპულარიზაცია, ადამიანის უფლებებისა და გენდერული თანასწორობის დაცვა.

2015 წლიდან ასოციაციას სათავეში ჩაუდგა ახალგაზრდა იურისტი თამარ მაღალია.

ასოციაციის მიერ განხორციელდა სხვადასხვა პროექტები. ყველაზე მნიშვნელოვანია 2015-2016 წლებში გაეროს განვითარების პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტი „მწვანე ყუთი-ნარჩენების მართვის თანამედროვე მეთოდების (სეპარირება, რეციკლირება) დანერგვა-პოპულარიზაციისათვის სენაკის მუნიციპალიტეტში, ორგანიზაციის სახელს უკავშირდება ეკოკლუბის „მწვანე ერთობის“ დაფუძნება სენაკის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრში, ასევე მარტვილის ხელფეხებისა და კულტურის ცენტრში, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის პოპულარიზაცია ძველი სენაკის ახალგაზრდებში და მათთვის სპორტული ინვენტარის შექმნა, ძველი სენაკის ცენტრში „800 წლოვანი ჭადრის დაბადების დღის“ დაფუძნება,



პროექტების „აღმოაჩინე მწვანე“, „ენერგოეფექტურობა საქართველოში“ განხორციელდება.

ამჯერად „დეა“ ახორციელებს პროექტებს „მომავალი ბარიერების გარეშე“ და „საქმებისა და ტრენინგების ხელშეწყობა მართლმსაჯულების სექტორში და ადამიანის უფლებები დოკუმენტური ფილმებით“, რომელიც ხორციელდება ჩეხური საერთაშორისო ორგანიზაცია „PEOPLE IN NEED“ ფინანსური მხარდაჭერით.

რომ. 5 დეკემბერს „დეას“ ორგანიზებით სასტუმრო „ოსკარში“ პროექტის „ადამიანის უფლებები დოკუმენტური ფილმებით“ ფარგლებში გაიმართა მრგვალი მაგიდა „ოკუპაციით წარმოქმნილი უფლება“.

შეხვედრა შესავალი სიტყვით გახსნა ასოციაციის ხელმძღვანელმა თამარ მაღალიამ. მონაწილეებს და ღონისძიებებს მადლობა გადაუხადა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ქაია რუსიამ.

ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებზე ისაუბრეს სამეგრელო ზემო-სვანეთის გუბერნატორის თანამშემქმ ლაშა გვასალიამ, გუბერნატორის მოადგილე ნინო ვიბლიანმა.

ლაშა გვასალიამ აღნიშნა, რომ ოკუპაციამ მიიქცა დადი დასვა როგორც ქართველების, ასევე აფხაზების ცხოვრებას. „ცხადია უხეშად ირღვევა ქართველთა უფლებები, რადგანაც მათ შეზღუდული აქვთ მშობლიურ მიწაზე გადაადგილების შესაძლებლობა. მე, როგორც მწერალს ახლო ურთიერთობა მაქვს აფხაზ მწერლებთან. ანაკლიაში ტარდება კავკასიის ქვეყნების პოეზიის ფესტივალი, რომელშიც მონაწილეობას იღებენ აფხაზი პოეტები. მათი და ყოველი საღად მოაზროვნე აფხაზების სურვილია კონსტრუქციული დიალოგი ორ ერს შორის. ვფიქრობ, რომ ადამიანური რესურსების გამოყენება უფრო ხელსაყრელ პირობებს ქმნის სამშვიდობო პროცესის განსამტკიცებლად“.



ნინო ვიბლიანმა აღნიშნა: „აფხაზეთის საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი მიესალმება ქართველებთან ურთიერთობის ნორმალიზებას. დღემდე დაურეგულირებელი კონფლიქტი ახანგრძლივებს ქართველების დევნილობაში ყოფნას, ადამიანის უფლებათა უხეშ დარღვევას. ქართული მხარის, საქართველოს ხელისუფლების კეთილი ნებაა, ის რომ აფხაზებს შეუძლიათ ისარგებლონ საყოველთაო დაზღვევით გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურებით.“

სახეზე გვაქვს ის ფაქტი, რომ ახალგაზრდები შორს არიან სტრუქტურული აზრებისგან, ვფიქრობ მათ შეხედულებებს და მიდგომებს პრინციპული მნიშვნელობა ექნება კონფლიქტის მოგვარების პროცესში“.

სამუშაო შეხვედრაში მონაწილეობდნენ სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გრიგოლ ბაღათურიანი, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბადრი კალანდარიშვილი, აფხაზეთის არ წარმომადგენლობის ხელმძღვანელის მოადგილე სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში მედეა აბლოთია, არასამთავრობო ორგანიზაცია People in Need-ის პროექტის მენეჯერი ნატო ანთია,

კონფლიქტოლოგი მარინა ზუხბია, რეჟისორი ანუნა ბუკია, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მასმედის წარმომადგენლები, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგები და მოსწავლეები.

შეხვედრაზე ნახევრები იქნა რეჟისორი ანუნა ბუკიას დოკუმენტური ფილმი „მე გადავცურე ენგური“, რომლის ჩვენების შემდეგ გაიმართა დისკუსია თემებზე - კონფლიქტი და მისი მოგვარების გზები, აღნიშნულ საკითხებში ახალგაზრდების აქტიური ჩართულობა. დისკუსიის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს მნიშვნელობანი მოსაზრებები. პროექტი ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დაფინანსებით, თქმულ



თქმულ პროგრამის ფარგლებში, საქართველოს სახალხო დამცველის ადამიანის უფლებათა აკადემიის პარტნიორობით ხორციელდება. მისი მიზანია მუნიციპალიტეტებში ახალგაზრდებთან მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობების გაძლიერება, რათა მათ პრაქტიკაში გამოიყენონ დოკუმენტური ფილმებით ადამიანის უფლებების სწავლების მეთოდოლოგია; 2. ახალგაზრდები გახდებიან მთავარი მოქმედი პირები თავიანთ თემებში ადამიანის უფლებების ხელშეწყობისთვის. პროექტის „ადამიანის უფლებები დოკუმენტური ფილმებით“ პარტნიორებია: სენაკის მუნიციპალიტეტის მერია, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო, სენაკის საგანმანათლებლო რესურსცენტრი, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი.



შეხვედრის დასასრულს გამოიკვეთა მთავარი სათქმელი, რომ დაურეგულირებელი ქართულ-აფხაზური კონფლიქტი არის რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ოკუპაციის შედეგი. ყველამ ხმადაღმა უნდა თქვას „არა ოკუპაციას“. ორივე მხარემ უნდა მიიღოს კონკრეტული ღონისძიებები ადამიანთა უფლებების დასაცავად.

მ. ქაიბია

# მავანთა და მავანთა „მჭკვრიეზველები“ გაეო

ვიდრე მავანთა და მავანთა „მჭკვრიეზველებს“ შეეხებოდეთ, მოკრძალებით წარმოადგენთ ქართული ენის შესახებ მწირ ინფორმაციებს:

I. უძლიერესია ღვთივ მადლმოსილი ქართული ენის სასწაულმოქმედების ძალა, რომელიც შეუძლებელს შესაძლებლად ხდის. ასე, მაგ.:

- ექვთიმეს (ათონელს), აგონიაში მყოფს, ქართულ სინამდვილეს დიდი ხნით მოწყვეტილს (ბიზანტიაში მძევლად ყოფნის გამო) – დაიწვებია მშობლიური ენა, რამაც მასში გამოიწვია განუკურნებელი სულიერი სიცარიელე და ხორციელი ავადმყოფობა, მაგრამ სიკვდილისაგან იგი უხსნია წმინდად ქალწულ მარიამ ღვთისმშობლის გამოცხადებას: წმ.ღვთისმშობელი ექვთიმეს ქართულად შესიტყვებია, რასაც მის სულიერ წიაღში დაფლული ქართული ენა გაუცოცხლებია. ერთი სიტყვით, წმ.ღვთისმშობლის გამოცხადებამ და ქართულად შესიტყვებამ სულიერად და ხორციელად განკურნა ექვთიმე.
- ი. გოგებაშვილის „იანანამ რა ჰქმნა?“ საეტაპო ღირსების ნაწარმოებია, რამეთუ ლექს ქალად ქცეულ ქეთოს პატარაობისას ცნობიერების სიღრმეში დიდი ხნით დაფლული ყოველგვარი მშობლიური, რომელთაც ზემოდან ფენებად აწვენ დაღვსენური წარმოდგენანი (ხელისშემშლელი მესხიერებაში ძველის აღდგენის, მხოლოდ იანანამ და, საერთოდ, მასში სასწაულებრივად გამოღვინებულმა ქართულმა ენამ გაუღვია. სხვანაირად რომ ვთქვათ, დედანამ ქეთო მოაქცია წარსულისაკენ, რითაც კვლავინდებურად ეზიარა ყოველივე

მშობლიურს.

- საინტერესოა ანდრო კაიშაურის (მ. ჯავახიშვილის პატრიოტულ-ფსიქოლოგიური ნოველა „მიწის ყივილის“ პერსონაჟის) ცხოვრება: იგი ათ წლამდე მშობლიურ ანანურში ქართულ ყაიდაზე იზრდებოდა, შემდეგ კი რუსეთში დაეკავებულს და საფრანგეთში გადახვეწილს ჯამთა სიავემ იმდენად გადააიწვია ყოველივე მშობლიური, რომ ფრანგული იქცა მის დედაენად. მაგრამ, საბედნიეროდ, 90 წლის ანდროს ქართული კაცის (ისინი შემთხვევით შეხვდნენ ერთმანეთს) ქართულად შესინანებამ აღუდგინა წარსული და ქართულ ენაზე ახტეველა.
- II. ქართული არის ქართველთა ცხოვრების ჭეშმარიტი მატინე, უძველესი სამწერლობო ენა, უბადლო საერო (ასევე სასულიერო) ორატორული ხელოვნების (რესპ.კლასიკური მჭკვრიეზველების) ძეგლი და ენა, კულტურული ენა ეროვნული ცხოვრების ყველა სფეროს ქვეყნის, ბურჯი ჩვენი დემოკრატიის მშენებარე ქვეყნისა... ამიტომ (და სხვა გარემოებათა გამოც!) ძალგვიძს ვთქვათ:

- ჩვენ, ქართველებს, გვამაყვება ბასილ მაკედონელის ასეთი დამოკიდებულება ქართული ენისა და, საერთოდ, ქართული კულტურისადმი: „იღარაინ ქართველის ცხოვრების მონათხრობით ბიზანტიის იმპერატორმა ბასილ მაკედონელმა თურმე თავისი შვილების აღზრდა ქართველ მასწავლებელს მიანდო და დაავალა: ასწავლეთ წიგნი და ენა თქვენიო“.
- რენე ლაფონმა, ფრანგმა ბასკოლოგმა და კავკასიოლოგმა, ბრძანა: ქართული ენა არამარტო ვეროპაში, არამედ

მთელ მსოფლიოში უნდა გახდეს ცნობილი... მართლაც, ქართულ ენას ხალხით სწავლობდნენ და ასწავლიან (აგრეთვე, რაც მთავარია, პოპულარიზაციას ქვეყნის): რობერტლიკი (პარფარდის უნივერსიტეტის პროფესორი), ი. ახალაგი, გ. პეჩი, პაინცფენიხი (გერმანელი ქართველოლოგი), დევიდ ლანგი (ინგლისელი მეცნიერი), ჟ. დიუმეზილი (ფრანგი მეცნიერი), იარომირიედლინიკა (ჩეხი მეცნიერი, მთარგმნელი), იანბრაუნი (პოლონელი ფილოლოგი), კ. ებელინი და ა. კვიპერსი (პოლონელი ლინგვისტი), გერტრუდაჟენი (ენის უნივერსიტეტის პროფესორი), ბ. რუდენკო (დენისგრადელი ენათმეცნიერი), გ. კლიმოვი (ყოფილი საბჭოთა კავშირის მეცნიერი, აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის კავკასიური ენების სექტორის გამგე, მეცნიერული წრეებში აქვეთბილისში მიიღო). ვ. აბაევი (ცნობილი ოსიფილოლოგი)...

შენიშვნა: ბატონ გ. კლიმოვის ძე. ქართული ენის ერთ-ერთ აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით ორჯერ შეგხვდით მოსკოვში.

ბატონ ვ. აბაევს სამჯერ შეგხვდით მოსკოვსა და ცხინვალში (მაშინ სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ვმუშაობდით) ქართულ-ოსურ ლექსიკურ ურთიერთობათა საკითხებზე სასაუბროდ. ამის შემდეგ ჩვენ (მე) და ზაირაბიტაროვამ ვერს. „ფილიუგაში“ (1988, გვ. 91-93) ოსურ ენაზე დაბეჭდვით ვრცელი წერილი ქართულ-ოსური ლექსი-